EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

იზჩი თურქეთის წინააღმდეგ

Izci v Turkey

საჩივარი №42606/05

2013 წელი, 23 ივლისი

ფაქტები

მომჩივანი, ნერგიზ იზჩი თურქეთის მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს ქალაქ სტამბოლში (თურქეთში).

2006 წლის 6 მარტს მან მიიღო მონაწილეობა ქალთა დღისადმი მიძღვნილ მანიფესტაციაში – ბეიაზიტის მოედანზე, სტამბოლში, რომელიც დასრულდა შეტაკებით პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის. სასამართლოს მიერ განხილული ზემოთ აღნიშნული მანიფესტაციის ამსახველ ვიდეომასალაში იკვეთება პოლიციის ოფიცრების მიერ აქციის მონაწილეების ცემა ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ის ქალბატონებიც კი, რომლებმაც თავი შეაფარეს მაღაზიებს, პოლიციამ იძულებით გამოიყვანა და ცემა. თურქეთის მთავრობის მიერ ვიდეომასალების გამოკვლევის მიზნით დაქირავებული ექსპერტის ანგარიშის თანახმად, პოლიციის თანამშრომლებმა წინასწარ არ გამოიყენეს გაფრთხილების რაიმე საშუალება აქციის მონაწილეების დაშლის მიზნით. დემონსტრანტები თავის მხრივ, არ ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, ისინი მხოლოდ ადგილის დატოვებას აპირებდნენ.

ინციდენტის შემდეგ მომჩივანმა განაცხადა, რომ ის დაშავდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგად და მოითხოვა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. ექიმებმა მომჩივანს აღმოუჩინეს მთელ სხეულზე არსებული სისხლჩაქცევები და დაასკვნეს, რომ მიყენებული ტრავმებით ის ვერ შეძლებდა მუშაობას 5 (ხუთი) დღის განმავლობაში. შესაბამისად, მომჩივანმა შეიტანა განცხადება პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობისთვის.

2005 წლის დეკემბერში, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა ბრალი წაუყენეს პოლიციის 54 თანამშრომელს ძალის გადამეტების გამო გამოწვეული ფიზიკური დაზიანებებისთვის. სასამართლო პროცესი დაიწყო დაუყოვნებლივ და დასრულდა 2011 წლის მაისში. პოლიციის 48 თანამშრომელი გამართლდა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო. დარჩენილი მოპასუხეებიდან – 6 თანამშრომელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 თვიდან 21 თვემდე ვადით. თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა მათ წინააღმდეგ შეწყდა 2011 წლის სექტემბერს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველზე.

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-3, მე-10, მე-11, მე-14 და 46-ე მუხლებთან მიმართებით.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

43. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, რომ პოლიციის თანამშრომლებმა მას სცემეს, შეასხურეს სხვადასხვა სახეობის გაზი, ლანძღავდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ. იგი ასევე დავობდა, რომ თურქეთის სახელმწიფომ თვალი

დახუჭა პოლიციელების ამგვარ საქციელზე და ისინი დაუსჯელნი დარჩნენ. კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას და არაადამიანურ თუ დამამცირებელ დასჯას.“

44. მთავრობამ გაასაჩივრა ეს არგუმენტი.

საქმის არსებითი გარემოებები

49. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მანიფესტაცია იყო მშვიდობიანი და პოლიციის თანამშრომლების ჩარევა მაშინ, როცა ხალხის დაშლა დაიწყო, გაუმართლებელი იყო. პოლიციის თანამშრომლების ჩარევის შემდეგ აქციის მონაწილეებმა გაქცევა დაიწყეს და პოლიციელებს თავს არ დაესხნენ. მიუხედავად ამისა, პოლიციის თანამშრომლები მათ სასტიკი ხერხებით დაესხნენ თავს და შეასხეს ცრემლსადენი გაზი. მომჩივნის განცხადებით, ვიდეო კადრების სხვადასხვა ნაწილში ჩანდა თუ როგორ წვალობდა გაცლოდა იქაურობას.

50. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ინციდენტის შემდეგ მისი სამედიცინო შემოწმების დასკვნა, რომელიც მტკიცებულების ნაწილი იყო პოლიციის თანამშრომლების წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე, ადასტურებდა მის ბრალდებებს არასათანადო მოპყრობის შესახებ. მას არა მხოლოდ ფიზიკური დაზიანებები ჰქონდა მიყენებული, არამედ არასათანადო მოპყრობის შედეგად ფსიქიკურადაც დაზარალდა.

51. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოცემული საქმის ფაქტები არ ექცეოდა მე-3 მუხლის ფარგლებში. პოლიციის თანამშრომლებმა გააფრთხილეს აქციის მონაწილეები, რომ დააპატიმრებდნენ მათ თუ გააგრძელებდნენ წინააღმდეგობის გაწევას და სწორედ ის მომიტინგეები, რომლებიც აგრძელებდნენ წინააღმდეგობის გაწევას, პოლიციამ დააკავა ზედმეტი ძალის გამოყენების გარეშე.

52. სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე მითითებით, მთავრობამ განაცხადა, რომ წინამდებარე საქმეში პოლიციის თანამშრომლების მიერ ძალის გამოყენება შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და არ იყო გადაჭარბებული.

მან განაცხადა, რომ ვინაიდან ძალის გამოყენება საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზნის პროპორციული იყო, არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

53. ვინაიდან სტამბოლის პროკურატურამ დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება პოლიციელების წინააღმდეგ და შეიტანა სარჩელი სტამბოლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოში, არ არსებობდა ვალდებულება, რომელიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს ადგილობრივ ხელისუფლებას კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ მხარესთან დაკავშირებით.

54. სასამართლო თავიდანვე იმეორებს წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის აბსოლუტურ ხასიათს. მართალია რომ სასამარლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას დაკავების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, ასეთი ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეუცვლელია და ასევე, ის არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს გადაჭარბებული (იხ.: Ivan Vasilev v. Bulgaria, no. 48130/99, § 63, 12 April 2007 და მასში მოხსენიებული საქმეები).

55. გარდა ამისა, ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც პირის ქცევის მიხედვით არ იყო მკაცრად აუცილებელი, პრინციპში, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევაა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ უდავო სირთულეები, რომლებიც თან ახლავს დანაშაულებთან ბრძოლას, ვერ ამართლებს პირთა ფიზიკური მთლიანობის დაცვის შესახებ შეზღუდვის დაწესებას (იხ., *Ribitsch v. Austria*, 4 December 1995, § 38, Series A no. 336 და მასში არსებული საქმეები).

56. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის მოსაზრებებს, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ ძალის გამოყენება იყო პროპორციული საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზნით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ იძლევა, პირის ფიზიკურ მთლიანობასა და საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზანს შორის, ბალანსირების შესაძლებლობას (იხ.: *Pekaslan and Others v. Turkey*, nos. 4572/06 and 5684/06, § 58, 20 March 2012).

57. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივრის ფაქტები დიდწილად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომელმაც გაასამართლა რამდენიმე მოპასუხე პოლიციელი დემონსტრანტების მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ამ ოფიცრების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მათი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილი ფაქტების გათვალისწინება მაინც შეიძლება მომჩივნის განცხადებებთან მიმართებით.

58. მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ „წინამდებარე საქმის ფაქტები არ ექცევა მე-3 მუხლის ფარგლებში“ ნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობამ ვერ მიაღწია სიმძიმის საჭირო დონეს, რათა ექცეოდეს ამ დებულების ფარგლებში, თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა უარყოფს ამ მოსაზრებას. ამ დასკვნის თანახმად, მომჩივნის სხეულზე აღინიშნებოდა დიდი რაოდენობით დაზიანებები, რომელიც საჭიროებდა ხუთდღიან გამოჯანმრთელების პერიოდს. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ამ სამედიცინო დასკვნის ავთენტურობა და მისი შინაარსის უტყუარობა არ იქნა გასაჩივრებული ეროვნულ დონეზე, არც მოპასუხე მთავრობის მიერ. ზემოაღნიშნულის და მომჩივნის დაზიანებების ბუნებისა და სიმძიმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა მიიღო ისეთი დაზიანებები, რომლებიც საკმარისად სერიოზული იყო იმისათვის, რომ მიჩნეულიყო არასათანადო მოპყრობად მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

59. სასამართლო ასევე, აღნიშნავს, რომ მომჩივნის ბრალდება იმის შესახებ, რომ მისი დაზიანებები მიყენებული იყო პოლიციელების მხრიდან, არ იქნა გასაჩივრებული ეროვნული ხელისუფლების ან მთავრობის მიერ, თუმცა, ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ძალის გამოყენება პროპორციული იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის ოთხი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, მომჩივანს დაზიანებები მიაყენა შვიდმა პოლიციელმა.

60. სასამართლომ შეისწავლა მთავრობის მიერ წარდგენილი მოვლენების ამსახველი ვიდეომასალა და აღნიშნა პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებული ძალადობრივი მეთოდები. ვიდეო კადრების დათვალიერების შემდეგ, სადაც ჩანს, რომ პოლიციელები ურტყამდნენ დემონსტრანტებს, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან

გაქცევას ცდილობდნენ, დაეცნენ მიწაზე და ემალებოდნენ პოლიციის თანამშრომლებს, ასევე ეს ოფიცრები განურჩევლად ასხურებდნენ დემონსტრანტებს ცრემლსადენ გაზს, რის შედეგადაც დაზარალდნენ არა მხოლოდ დემონსტრანტები, არამედ მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი გარეშე პირები. სასამართლომ მთავრობის არგუმენტები არ მიაჩნია დამაჯერებლად, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ გამოყენებული ძალა იყო პროპორციული.

61. აღსანიშნავია, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ მომჩივანმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ მომჩივანი არ იყო დაპატიმრებული და მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, როგორიცაა წინააღმდეგობის გაწევა პოლიციელისთვის – არის კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ მას არ შეუქმნია საფრთხე საზოგადოებრივი წესრიგისთვის ან თავად პოლიციელებისთვის, თუმცა, მას როგორც ბევრ სხვა დემონსტრანტს, განურჩევლად დაესხნენ თავს პოლიციის ოფიცრები.

62. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე გაასაჩივრა ცრემლსადენი გაზის შესხურება. ისევე როგორც მისი ბრალდებები ცემის შესახებ, მომჩივნის ბრალდება ცრემლსადენი გაზის შესხურებასთან დაკავშირებით ასევე, არ გაუპროტესტებია არცერთი ეროვნული ხელისუფლების ორგანოს და შემდგომში არც მთავრობას სტრასბურგის სასამრთლოს წინაშე. ამრიგად, სასამართლო გააგრძელებს იმ გარემოებების გამოკვლევას, როდესაც მომჩივანს ცრემლსადენი გაზი შეასხურეს. ამასთან დაკავშირებით, იგი იმეორებს, რომ სამართალდამცავების მიერ ცრემლსადენი გაზის დაუსაბუთებელი გამოყენება არ შეესაბამება არასათანადო მოპყრობის აკრძალვას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით (იხ.: Ali Güneş v. Turkey, no. 9829/07, § 43, 10 April 2012).

63. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამართალდამცავი პირები, როგორიცაა პოლიციელი ან ჟანდარმი, არ უნდა დარჩნენ ვაკუუმში თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, იქნება ეს დაგეგმილი ოპერაციის კონტექსტში თუ საშიში პირის სპონტანურ დევნაში: საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ჩარჩოში უნდა განისაზღვროს შეზღუდული გარემოებები, სადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალა და ცეცხლსასროლი

იარაღი, ამ კუთხით შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (იხ.: mutatis mutandis, Makaratzis v. Greece [GC], no. 50385/99, § 59, ECHR 2004-XI).

64. უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე მთავრობას არ უცდია იმის მტკიცება, რომ მოვლენების დროს არსებობდა მკაფიო და ადეკვატური ინსტრუქციები, რომლებიც არეგულირებდნენ ცრემლსადენი გაზის გამოყენებას და პოლიციის ოფიცრები, რომლებიც თავს დაესხნენ მომჩივანს და სხვა დემონსტრანტებს, მოქმედებდნენ ამ ინსტრუქციების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ დირექტივა ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ, არ გამოცემულა ამ ინციდენტიდან დაახლოებით სამი წელი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე განაცხადის საფუძველს.

65. ამდენად, როგორც ჩანს, ერთადერთი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებდა პოლიციელების მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენებას მოვლენების დროს, იყო კანონი „პოლიციის მოვალეობებისა და უფლებამოსილების შესახებ," რომელიც პოლიციელებს საშუალებას აძლევდა გამოეყენებინათ ცრემლსადენი გაზი. ეს კანონი ცრემლსადენი გაზის გამოყენებას მიიჩნევს პოლიციელების მხრიდან ერთ-ერთ გამოსაყენებელ იარაღით, თუმცა მის მიღმა არ ადგენს რაიმე კონკრეტულ გარემოებას, რომლის მიხედვითაც, ცრემლსადენი გაზი შეიძლება გამოყენებული იქნას ისე, რომ თანხვედრაში მოდიოდეს თურქეთის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

66. ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს უკვე ჰქონდა შესაძლებლობა აღენიშნა CPT- ის (The European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment – წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი) მიერ გამოთქმული შეშფოთება ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ და მისი რეკომენდაციები ამ საკითხთან მიმართებით (იხ.: Ali Güneş, ციტირებული ზემოთ, §§ 39-40). წინამდებარე გადაწყვეტილებაში იგი დასძენს, რომ მოვლენების დროს ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ მკაფიო, დეტალური და სავალდებულო ინსტრუქციების არარსებობამ, რომლებიც წარმოადგენს ამ საჩივრის საფუძველს, დიდად შეუწყო ხელი მომჩივნისა და სხვა

მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზის გადაჭარბებულ და გაუმართლებელ გამოყენებას.

67. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, როგორც ეს თურქეთის წინააღმდეგ მსგავს საქმეებთან დაკავშირებით გააკეთა, რომ წინამდებარე საქმეში, პოლიციის ოფიცრებმა ვერ გამოიჩინეს ტოლერანტობა და თავშეკავება ბრბოს დაშლის მცდელობამდე, რომელიც არ წარმოადგენდა საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისთვის და არ ახორციელებდა ძალადობრივ აქტებს. ამგვარად, როგორც ჩანს, პოლიციის ნაჩქარევმა რეაქციამ მომიტინგეების მშვიდობიან შეკრებასთან დაკავშირებით გამოიწვა არეულობა, ხოლო პოლიციის თანამშრომლების მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაზიანდა მომჩივანი (იხ.: Biçici v. Turkey no. 30357/05, §§ 35-36, 27 May 2010).

68. რაც შეეხება მომჩივნის არასათანადო მოპყრობის შესახებ სარჩელის ეროვნულ გამოძიებას, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ამოცნობის თავიდან ასაცილებლად დამალეს პირადობის ნომრები. უფრო მეტიც, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ გამოიკვლია უფრო მეტი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიციის ქმედებების დაგეგმვასთან და განხორციელებასთან. ხოლო ხანდაზმულობის ვადის შესახებ სამართალწარმოების შეწყვეტით, ხელისუფლებამ ფაქტობრივად, ხელი შეუწყო პოლიციის ოფიცრებს, რომ სარგებელი მიეღოთ საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომრების დამალვით, მაშინ როცა, პოლიციელების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები მათი საიდენტიფიკაციო ნომრების დამალვის გამო, იმავე პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასახელა როგორც სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურების ხელშემწყობი ფაქტორი. ამ ხარვეზებმა განაპირობა, რომ პასუხისმგებლობა არც ზემდგომ პოლიციელებს დაეკისრათ.

69. აღსანიშნავია, რომ პროკურორმა, რომელმაც მოამზადა საბრალდებო დასკვნა და მოითხოვა პოლიციელების პასუხისგებაში მიცემა და დასჯა, მოგვიანებით, სასამართლო პროცესის მსვლელობისას, მოითხოვა პოლიციის თანამშრომელთა გამართლება, მსხვერპლების მიერ მათი იდენტიფიცირების უუნარობის გამო. პროკურორს არ განუმარტავს, თუ როგორ ექნებოდათ დაზარალებულებს

შესაძლებლობა დაედგინათ იმ პოლიციელების ვინაობა, რომლებმაც სახეზე აიფარეს და დამალეს თავიანთი საიდენტიფიკაციო ნომრები.

70. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნაზე უარის თქმისას, მხედველობაში მიიღო მსხვერპლთა უუნარობა, გამოევლინათ პოლიციელები, რომლებმაც სავარაუდოდ მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ძალა, მან დამნაშავედ მხოლოდ ექვსი პოლიციელი ცნო, რომლებიც ინციდენტის შემდეგ დაკითხეს ინსპექტორებმა და რომლებმაც აღიარეს არასაჭირო და გადამეტებული ძალის გამოყენება. დამატებითი მიზეზების გარეშე, პირველი ინსტანციის სასამართლომ გაამართლა დარჩენილი ორმოცდარვა პოლიციელი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

71. სტრასბურგის სასამართლოს დასადგენი არ არის პოლიციელების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ან მათი გამამართლებელი განაჩენის მიზანშეწონილობა. თუმცა, იგი ადგენს, რომ პოლიციელთა დიდი ნაწილის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუდგენლობა და შეუფასებლობა (გარდა ზემოაღნიშნული ექვსი ოფიცრისა), რომლებმაც დაუსაბუთებელი ძალა გამოიყენეს დემონსტრანტების წინააღმდეგ და რომელთა სადავო ტერიტორიაზე ყოფნაც მოცემული იქნებოდა პოლიციის ოფიციალურ ჩანაწერებში, სერიოზულ ეჭვს ბადებს არასათანადო მოპყრობის ბრალდებებზე ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესრულების საკითხთან დაკავშირებით.

72. თურქეთის წინააღმდეგ საქმეებზე გამოტანილ რიგ გადაწყვეტილებებში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო ხელისუფლებამ არ გამოიჩინა გულმოდგინება და დააჩქარა პოლიციელების წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე სისხლის სამართალწარმოება, რამაც გამოიწვია ამ სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადის გასვლა (იხ.: inter alia, Mustafa Taştan v. Turkey, no. 41824/05, §§ 50-51, 26 June 2012). წინა გადაწყვეტილებების მსგავსად, სასამართლო წინამდებარე საქმეშიც მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის სისტემა შორს იყო სიმკაცრისგან და არ გააჩნდა დამაბრკოლებელი ეფექტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ისეთი უკანონო ქმედებების ეფექტური პრევენცია, რომლებსაც ვხვდებით მომჩივნის საჩივრებში (იხ., *Yazıcı and Others v. Turkey, no. 2)*, no. 45046/05, § 27, 23 April 2013).

73. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელს ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს, ნებისმიერი შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნა და სასჯელი არ უნდა იყოს ხანდაზმული და დაუშვებელია ამნისტიის ან შეწყალების მინიჭება (იხ.: *Abdülsamet Yaman v. Turkey,* no. 32446/96, § 55, 2 November 2004).

74. იგი ასევე იმეორებს, რომ როდესაც სახელმწიფო აგენტს წაუყენეს ბრალი წამებისა ან არასათანადო მოპყრობის საფუძვლით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მას შეუჩერდეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა გამოძიების და სასამართლო პროცესის დროს და გათავისუფლდეს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში (*იქვე).* მოცემულ საქმეში არ არის ინფორმაცია, რომ რომელიმე პოლიციელს შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების უფლებამოსილება მათ წინააღმდეგ ექვსწლიანი სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში.

75. სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის ცემისა და ცრემლსადენი გაზის შესხურების გამო, ასევე ინციდენტთან დაკავშირებული ფაქტების დადგენასა და დამნაშავეების ძიებაში სასამართლო ხელისუფლების სერიოზული წარუმატებლობის გამო, მათ მიერ სამართალწარმოების დაჩქარების წარუმატებლობასთან ერთად, რამაც გამოიწვია ხანდაზმულობა, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის როგორც არსებითი ასევე, პროცედურული ასპექტები.

II. კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების სავარაუდო დარღვევა

76. კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ პოლიციის თანამშრომლების ძალის გამოყენების გამო, მან ვერ ისარგებლა გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით.

77. მთავრობამ გაასაჩივრა ეს არგუმენტი.

78. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის საჩივრები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ კონვენციის მე-11 მუხლის ჭრილში, რომელიც ადგენს შემდეგს:

1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, ამ უფლების განხორციელებაზე დააწესოს კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ.

79. სასამართლო დასაშვებად ცნობს საჩივარს.

ა. სახეზე იყო თუ არა ჩარევა მომჩივნის მიერ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების განხორციელებაში

82. სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჩარევა, ისევე როგორც არასათანადო მოპყრობა, რომელსაც მომჩივანი დაექვემდებარა, წარმოადგენდა ჩარევას მის უფლებებში კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად (იხ.: mutatis mutandis, Nurettin Aldemir and Others v. Turkey , nos. 32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02, §§ 33-35, 18 December 2007).

ბ. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

85. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ჩარევა წარმოადგენს კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არ არის „კანონით გათვალისწინებული," ამ დებულების მე-2 პუნქტის მიხედვით ატარებს ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს და „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში" ამ მიზნების მისაღწევად.

86. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ წინამდებარე საქმეში ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, კანონი „შეკრებისა და დემონსტრაციების შესახებ," და შესაბამისად, იყო „კანონით გათვალისწინებული" კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. რაც შეეხება ლეგიტიმურ მიზანს, მთავრობამ განაცხადა, რომ ჩარევა მიზნად ისახავდა არეულობისა და დანაშაულის პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს და სასამართლო ვერ პოულობს რაიმე მიზეზს, რომ სხვა რამ დაადგინოს.

87. რაც შეეხება საკითხს, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში," სასამართლომ განიხილა მომჩივნის საჩივრები იმ ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც ეფუძნება მის გადაწყვეტილებებს კონვენციის მე-11 მუხლთან დაკავშირებით (იხ.: Oya Ataman v. Turkey no. 74552/01, §§ 35-44, ECHR 2006-XIII, და მასში მითითებული გადაწყვეტილებები; Bukta and Others v. Hungary, no. 25691/04, §§ 33-39, ECHR 2007-IX; Éva Molnár v. Hungary, no. 10346/05, §§ 23-46, 7 October 2008).

88. მთავრობის განცხადებით, ამ საქმეში პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩარევა განხორციელდა იმის გამო, რომ აქციის მონაწილეები მოქმედებდნენ შეკრებისა და დემონსტრაციების შესახებ კანონის დარღვევით. თუმცა, მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმისწარმოების არარსებობის გათვალისწინებით, ისევე როგორც ნებისმიერი ინფორმაციის ნაკლებობა იმის დასადასტურებლად, რომ სამართალწარმოება დაიწყო ნებისმიერი სხვა დემონსტრანტის წინააღმდეგ ამ კანონის სავარაუდო დარღვევის გამო, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი და მრავალი სხვა დემონსტრანტი არ მოქმედებდნენ ძალადობრივად, მთავრობის ბრალდების საწინააღმდეგოდ.

89. გარდა ამისა, ვიდეოკადრები, ექსპერტიზის დასკვნა ამ კადრებზე, ექვსი პოლიციელის გაცხადებები, რომლებიც დაეთანხმნენ დემონსტრანტების მიმართ არასაჭირო და გადაჭარბებული ძალის გამოყენებას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა აჩვენებს, რომ დემონსტრანტები არც საზოგადოებრივ წესრიგს უქმნიდნენ საშიშროებას და არც ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებდნენ, რაც საჭიროებდა ასეთ მძიმე ჩარევას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღიარებს, რომ საჯარო ადგილას დემონსტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს

ჩვეულებრივი ცხოვრების შეფერხება, მათ შორის, საგზაო მოძრაობის შეფერხება (იხ.: *Disk and Kesk v. Turkey* no. 38676/08, §29, 27 November 2012 და მასში ციტირებული საქმეები), მაგრამ კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ როდესაც დემონსტრანტები არ ეწევიან ძალადობას, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ხელისუფლებამ გამოიჩინოს გარკვეული ტოლერანტობა მშვიდობიანი შეკრებების მიმართ, თუ კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლება მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს (იხ.: Nurettin Aldemir and Others, ციტირებული ზემოთ, § 46).

90. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომლების ჩარევა დემონსტრაციაში და მათ მიერ გამოყენებული ძალადობა მომჩივნის მიმართ იყო არაპროპორციული და აუცილებელი არ იყო არეულობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით. იგი ასევე მიიჩნევს, რომ დარბევის სისასტიკეს გარდაუვალი დამღუპველი ეფექტი ჰქონდა ხალხის დემონსტრირების სურვილზე.

91. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი.

III. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა

92. დაბოლოს, კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, მომჩივანი დავობდა, რომ მას სურდა მონაწილეობა მიეღო დემონსტრაციაში, რომლის დროსაც ქალების წინაშე არსებული პრობლემების გაჟღერებას აპირებდნენ. ამის მიუხედავად, მისი მცდელობა შეფერხდა ძალის გამოყენებით.

93. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი შეიძლება გამოცხადდეს დასაშვებად. თუმცა, ზემოაღნიშნული კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო არ თვლის საჭიროდ ამ საჩივრის ცალკე განხილვას.